სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/35 16.06. 2022 ბ350

ზაფხულის სკოლის ორგანიზების შესახებ

აწსუ-ს აკადემიური საბჭოს №11 (17/18), 10.11.2017 დადგენილების შესაბამისად 2021/2022 სასწავლო წლის ზაფხულის სკოლის საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ვბრძანებ:

1. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის ზაფხულის სკოლის ფუნქციონირება განხორციელდეს 2021 წლის **20 ივლისიდან 2 სექტემბრის ჩათვლით** და ნება დაერთოთ სტუდენტებს აითვისონ სასწავლო კურსები არა უმეტეს 2 კრედიტისა სასწავლო კვირის განმავლობაში. სტუდენტთა რეგისტრაცია განხორციელდეს ფაკულტეტების დეკანატებში.
2. სტუდენტთა განცხადებების მიღება (სტუდენტმა განცხადებას თან უნდა დაურთოს ზაფხულის სკოლაში სწავლის საფასურის გადახდის ქვითრის ასლი) განხორციელდეს ელექტრონულად სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის ელ. ფოსტაზე info.students@atsu.edu.ge **2022 წლის 9 ივლისიდან 18 ივლისის ჩათვლით.**
3. ზაფხულის სკოლაში სასწავლო პროცესი განხორციელდეს ჰიბრიდული წესით:

ა) სალექციო მუშაობა On - Line (ონ-ლაინ), უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული პლატფორმების - Microsoft Teams (Microsoft Forms) ან moodle.atsu.edu.ge-ის გამოყენებით;

ბ) პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები საუნივერსიტეტო სივრცეში;

4. მიეცეთ უფლება ფაკულტეტის ადმინისტრაციას სწავლების ფორმატი განისაზღვრონ ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკის მიხედვით, ფაკულტეტის დეკანის განკარგულების საფუძველზე;
5. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს:

- სტუდენტთა განცხადებების და ზაფხულის სკოლაში სწავლის საფასურის გადახდის ქვითრის წარმოდგენის საფუძველზე, სასწავლო კურსების მიხედვით, დააკომპლექტონ სასწავლო ჯგუფები და უზრუნველყონ ისინი სწავლების გრაფიკითა და ყველა საჭირო რესურსით (აკადემიური პერსონალი, ტექნიკური აღჭურვილობა და ა.შ.);
- უზრუნველყონ, რომ თითოეული სასწავლო კურსის სწავლება განხორციელდეს აწსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამის სილაბუსის შესაბამისი მოცულობით, სწავლისა და შეფასების სათანადო მეთოდების გამოყენებით;

- ზაფხულის სკოლაში უზრუნველყონ შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარება საუნივერსიტეტო სივრცეში, უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 13 ივნისის № 01-04/34 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით;
- ზაფხულის სკოლაში ჩატარებული სასწავლო პროცესის შედეგები, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მონაცემები დროულად წარადგინონ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო-მეთოდურ განყოფილებაში.
- სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის (პროფ. ი. ბასილაძე) შესაბამისმა რგოლმა, ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახურმა (ო. შენგელია), მულტიმედიურმა ლაბორატორიამ (დ. კეთილაძე) და ელექტრონული სწავლების კოორდინატორმა (ნ. ცაგარეიშვილმა) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სასწავლო პროცესის მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარებას, ზაფხულის სკოლის ფარგლებში, უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 1 მარტის № 01-04/17 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით;

6. ზაფხულის სკოლაში სწავლის საფასურის გაანგარიშება მოხდეს მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ წლისათვის დადგენილი სწავლის საფასურის პროპორციულად;

*მაგალითად, თუ სტუდენტს ასათვისებელი აქვს 5 კრედიტი და მოცემულ პროგრამაზე სწავლის საფასურია 2250 ლარი, ზაფხულის სკოლაში სწავლის საფასური გამოიანგარიშება შემდეგნაირად: 2250/60*5=187,5 ლ. (სადაც 2250 არის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური, 60 - სასწავლო წლის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა, 5 - სკოლის მსმენელის მიერ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა).*

7. კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერისტეტის ვებ-გვერდზე, ძირითადი მენიუს პუნქტში „სწავლა“, ქვემენიუ: სასწავლო პროცესი.

საფუძველი: უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 31 მაისის ბრძანებით (№ 01-04/43) დამტკიცებული 2021-2022 სასწავლო წლის განრიგი.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი: ასოც.პროფ. შალვა კირთაძე

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი: პროფ.იმერი ბასილაძე